ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5481234

ნომერი: AR1833691

თარიღი : 22.06.2021

გაცემის თარიღი : 30.06.2021

გაცნობის თარიღი : 01.07.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭირნახული , N1-ის მიმდებარედ , (ნაკვ. 03/029);

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ქურიძე პ/ნ 01017007533
- თბილისი გ.ახვლედიანის ქ. N 25

ნომენკლატურა :

- პავილიონი
- II კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სავაჭრო ობიექტი (ორი პავილიონი)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: შალვა ქურიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს შოფინგ თაუნი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406062647
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლაურა ღაჭავა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017003216

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 4864690
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 3.05.2020

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 22/06/2021წლის №AR1833691 განცხადებით მომართა შალვა ქურიძემ და მოითხოვა სამსახურის 05/03/2020 წლის №4864690 გადაწყვეტილებით გაცემული მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება.
სამსახურმა, გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 28/10/2019წლის № 4720546 ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, ქუჩა ჭირნახული , N1-ის მიმდებარედ , (ნაკვ. 03/029), არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. სამსახურის 05/03/2020 წლის №4864690 გადაწყვეტილებით აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა პავილიონის არქიტექტურული პროექტი. არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამშენებლო სამუშაოები დღემდე არ არის ნაწარმოები.
საპროექტო მიწის ნაკვეთზე სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმების შემდეგ, არაერთხელ შეიცვალა სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა. ძალაში შევიდა საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება, რომლებიც ითვალისწინებს მშენებლობის ნებართვის გაცემისადმი ძირეულად განსხვავებულ და გამკაცრებულ მოთხოვნებს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმა, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების განახლებული წესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მშენებლობა ნაწარმოები არ არის და მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ არსებითად შეცვლილია კანონმდებლობის მოთხოვნები, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია განაცხადის დაკმაყოფილება და 05/03/2020 წლის №4864690 გადაწყვეტილებით გაცემული მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.